



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ქ. ნინოწმინდის N 2 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *ნანა ხითარიშვილი*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *თამარ შკუბულიანი*

კვების დარგში ექსპერტი: *თამარ ნაროშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *კახაბერ ბერიძე*



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	ა(აიპ) არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	436685990
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ქ.ნინოწმინდის N 2 საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა № 37
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ქ. ნინოწმინდა, ერევნის ქუჩა N3



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N MES 9 26 0000230975 26.02.2026	
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	19.03.2026-20.03.2026	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ <small>(ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</small>		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული <i>“ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი”</i> -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის	ქართული	ბილინგვური	90 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/>

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში, კერძოდ ქ. ნინოწმინდის N 2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის ბრძანების (MES 9 26 0000230975) საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა: ჩაატარეს შეხვედრები დაწესებულების ხელმძღვანელთან და პასუხისმგებელ პირებთან, განხორციელეს დოკუმენტაციის შესწავლა, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში.

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მადიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² <i>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა</i> <i>ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში</i>		
2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული დაწესებულების მისია. წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით, დაწესებულება პირველ ეტაპზე გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება მისიის შემუშავების პროცედურები და მექანიზმები. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შემდეგ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავებისთვის განსაზღვრული აქვს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება. დაწესებულების მიერ შემუშავებული მისია უნდა ეხმიანებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული დაწესებულების მისია, შესაბამისად არ არის განსაზღვრული დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით, დაწესებულება პირველ ეტაპზე გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცედურები და მექანიზმები, კერძოდ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შემდეგ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებისთვის განსაზღვრული აქვს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს დაწესებულების მისიიდან გამომდინარე ხედვის და ღირებულებების შემუშავება.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები. წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით, დაწესებულება პირველ ეტაპზე გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება მისიის შემუშავების პროცედურები და მექანიზმები, კერძოდ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შემდეგ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებისთვის განსაზღვრული აქვს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები. წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით, დაწესებულება პირველ ეტაპზე გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება მისიის შემუშავების პროცედურები და მექანიზმები, კერძოდ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შემდეგ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავების შემდეგ გაზიარებული იქნება დაინტერესებულ პირებთან და საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი. მისია, ხედვა, ღირებულების საჯაროობისთვის დაწესებულება გამოიყენებს ა(ა) იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ოფიციალურ facebook გვერდს, ასევე მშობლებთან აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება მოხდება ვოცაფში არსებული ჯგუფების გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებისთვის და გაზიარებისთვის განსაზღვრული აქვს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.ა(აიპ) ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- 2.ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავებული იქნება 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში. დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ მეთოდოლოგიაში განსაზღვრული იქნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი და დაგეგმვის პროცესში ჩართული იქნებიან დაინტერესებული მხარეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც გეგმავს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში. დაწესებულების პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულების სტრატეგიული გეგმა იქნება ციკლური, ხუთ წელზე გათვლილი და იქნება შესაბამისობაში დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებებთან. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც იქნება არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაში იქნება დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ა(ა)პ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანებას არ აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით დგინდება რომ, დაწესებულება თავდაპირველად გეგმავს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, რის საფუძველზეც მოხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა განხორციელდეს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი პერიოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი -2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით დგინება რომ, დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, აქტივობის შესრულების ინდიკატორები, ვადები, აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი 2026 წლის -ივნისი) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5.მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ასევე არ არის შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით დგინდება,

რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავებული იქნება 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი -2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას მექანიზმები. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში იხელმძღვანელოს აღნიშნული მექანიზმებით.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

6.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაიწერება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შედეგების გასაჯაროების მექანიზმები. აღნიშნული შედეგები ასევე გამოყენებული იქნება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავებული იქნება 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი -2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების

შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობის მექანიზმები. ასევე, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენოს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ა(აიპ) წინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

2.ინტერვიუ

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ა(აიპ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (№3-ბ, 2026 წლის 23 იანვარი) ადრეული განათლების კურიკულუმით - „თამაში“, რომელიც წარმოადგენს მეთოდურ სახელმძღვანელოს 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ადგილზე დაწესებულებამ წარმოადგინა შერჩეული კურიკულუმი მატერიალური სახით, როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენაზე. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ (ბრძანება №2, 2026 წლის 21 იანვარი). დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის შერჩევის, დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების წესი, მათ შორის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის პროცედურები.

მტკიცებულებად წარმოდგენილია აღნიშნული ჯგუფის სახელობით დამტკიცებული სია და სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი №1 (22.01.2026). კურიკულუმის საგანმანათლებლო პერსონალთან და მშობლებთან გაზიარების დასტურად წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა.

დაწესებულება ახორციელებს ბილინგვურ მიდგომას - საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ და სომხურ ენებზე, რაც ითვალისწინებს დაწესებულებაში ჩარიცხული ბავშვების ენობრივ განვითარებას. კურიკულუმი წარმოდგენილია ორივე ენაზე და პერსონალის შემადგენლობაში გათვალისწინებულია ბილინგვური ენის სპეციალისტიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ დაგეგმოს ბილინგვური საგანმანათლებლო პროცესი „თამაში“ კურიკულუმის პრინციპებთან თანხვედრაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „თამაში“ ეფუძნება სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და ჰოლისტური მიდგომით თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს განვითარების ყველა სფეროს. პრიორიტეტი ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს ენიჭება, ხოლო აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი მხარდაჭერის როლში აკვირდება და აფასებს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ პროგრესს.

სასკოლო მზაობის კუთხით კურიკულუმი მიზნად ისახავს ბავშვში ფიზიკური და სოციალურ-ემოციური უნარების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, აგრეთვე სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების განვითარებას.

კურიკულუმის მეთოდოლოგია სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის უსაფრთხო, პოზიტიური და განმავითარებელი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შერჩეული კურიკულუმი - „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. სტანდარტის თანახმად, კურიკულუმი უნდა ეფუძნებოდეს თამაშს - ეს პრინციპი სრულად ასახულია აღნიშნული კურიკულუმის შინაარსში, მეთოდოლოგიაში, ღირებულებებსა და პრინციპებში.

კურიკულუმში თამაში განხილულია როგორც საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მთავარი საშუალება. თამაში და თამაშის ელემენტები მოიცავს დღის ყველა აქტივობას, მათ შორის ტრანზიციებს. ბავშვს საშუალება ეძლევა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან თამაშებში - სენსორულ, დრამატულ, კონსტრუქციულ, მოძრა, შემოქმედებით, სამაგიდო, რისკიან, მანიპულაციურ, წარმოსახვით, წესებიან, კვლევით და სხვა - როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, შენობაში თუ მის გარეთ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების მრავალფეროვანი გზების შეთავაზებას თითოეული ბავშვისთვის.

კურიკულუმი ბავშვს განიხილავს როგორც კომპეტენტურ, აქტიურ და შემოქმედებით პიროვნებას. სწავლა ხდება კეთებით, კვლევა-აღმოჩენით, ექსპერიმენტებით და საკუთარი გამოცდილების გზით. ბავშვს წამყვანი როლი აქვს - იგი მონაწილეობს დაგეგმვაში, განსაზღვრავს საკუთარ ინტერესებს და სარგებლობს არჩევანის უფლებით.

აღნიშნულიდან გამოდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი უზრუნველყოფს ოჯახების ჩართულობას სხვადასხვა მიმართულებით: ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში უწყვეტი ჩართულობა და მშობელთა განათლება ადრეული აღზრდის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

ოჯახებისთვის შექმნილია მონაწილეობის მრავალფეროვანი შესაძლებლობა - ექსკურსიები, ღია კარის დღეები და სხვა ღონისძიებები, სადაც მშობლები ჩართულნი არიან როგორც მოხალისეები, ექსპერტები ან დამხმარეები. ოჯახებს მკაფიოდ ეცნობებათ, თუ რა როლები და შესაძლებლობები არსებობს, რაც უზრუნველყოფს მათი პროფესიული და მოხალისეობრივი რესურსის ეფექტურ გამოყენებას. რეგულარული

კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა კი ხელს უწყობს ბავშვის განვითარებაზე შეთანხმებულ და თანმიმდევრულ ზრუნვას ბაღსა და ოჯახს შორის. მათი უკუკავშირი კი გამოიყენება კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის.

თემთან თანამშრომლობა ვლინდება ადგილობრივი რესურსების გამოყენებითა და თემის წარმომადგენლების ჩართვით, რაც ერთობლივად უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტიური განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დამ 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებსა და თამაშებს - სენსორულ, დრამატულ, კვლევით, კონსტრუქციულ, მანიპულაციურ, მოძრა, შემოქმედებით, სამაგიდო და სხვა - რომლებიც ორგანიზებულია სხვადასხვა ტიპის სათამაშო სივრცეებში, როგორც შენობაში, ასევე გარეთ.

აღმზრდელი -პედაგოგი/აღმზრდელი მიზნებს აღწევს რამდენიმე საშუალებით: ბავშვების მიერ ინიცირებული თამაშებით, აღმზრდელ-პედაგოგის/ აღმზრდელის - მიერ დაგეგმილი და ბავშვების ინიცირებით მორგებული აქტივობებით, გამოწვევებითა და პროვოკაციებით, რომლებიც ბავშვებში იდეების, ფანტაზიისა და ინიციატივის განვითარებას ემსახურება. ფიზიკური გარემო შიდა და გარე სივრცეები - პერიოდულად განახლდება და ორგანიზდება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

საქმიანობები შერჩეულია თითოეული ბავშვის ასაკის, ინდივიდუალური მახასიათებლების, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით. აღმზრდელი სისტემატურად აკვირდება ბავშვებს, აღმოაჩენს მათ ინტერესებს და პროგრესს, რაც საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისა და მრავალფეროვნად დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება №2, 2026 წლის 21 იანვარი), რომლის მუხლი 3. არეგულირებს დაინტერესებული მხარეებისათვის კურიკულუმის გაზიარების მექანიზმებს. დაინტერესებულ მხარეებად დაწესებულებას მოაზრებული ყავს:

- ა) მშობლები;
- ბ) დაწესებულების პერსონალი;
- გ) თემი/მუნიციპალიტეტი;
- დ) ირგვლივ არსებული დაწესებულებები და ორგანიზაციები.

დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის გამოიყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ (ბრძანება №6, 2026 წლის 30 იანვარი) წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს: სამიზნე აუდიტორიის შერჩევა; საკომუნიკაციო არხების შერჩევა, სადაც განსაზღვრულია როგორც შიდა, ასევე გარე აუდიტორიასთან, მათ შორის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საკომუნიკაციო არხები: (მუხლი 4.)

1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში სააღმზრდელო დაწესებულება ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.
2. სააღმზრდელო დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:
 - ა) პირისპირ შეხვედრები;
 - ბ) საინფორმაციო დაფები;
 - გ) მოკლე ტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი;
 - დ) სოციალური მედიის პლატფორმები და დახურული ჯგუფები.

პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომლები იცნობენ შერჩეულ-დამტკიცებულ კურიკულუმს და მის მიზნებს. ასევე დადასტურდა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია პერსონალთან და მშობლებთან პირისპირ შეხვედრების ფარგლებში, რაც დადასტურებულია ფოტომასალის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება: ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: N3-ბ 23.01.2026
2. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარგეულრეხელი წესი: ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: №2-, 21.01.2026
3. კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი.თარიღი: 22/01/2026
4. საკომუნიკაციო გეგმა: ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველობის სფეროში შემავალი ფილიალების მიერ ოჯახთან/თემთან საკომუნიკაციო გეგმები დამტკიცებული: ბრძანება N 6/1, 30/01/2026.
5. დაწესებულების მიერ პერსონალთან კურიკულუმის გაიზიარების ამსახველი ფოტომასალა.
6. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობასა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: გრძელვადიანი გეგმა (2, 3 ან 4 თვის ან წლიური), მოკლევადიანი (კვირის) გეგმა, რომელიც შედგება ყოველკვირეულად, და ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა.

დაწესებულებამ წარმოადგინა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება №5, 28.01.2026). წესის მე-3 მუხლის - „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა“ - თანახმად:

პუნქტი 2: დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

პუნქტი 3: გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

პუნქტი 5: მოკლევადიანი გეგმა შედგება თითოეული ჯგუფის იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი.

დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია ა(აიპ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;
- ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;
- გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;
- დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;
- ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.



ა(აიპ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება: N5, თარიღი: 28/01/2026) დამტკიცებულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმები, რომლებიც წარმოდგენილია დანართის სახით.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული გეგმა/გეგმების ფორმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შეესაბამება დაწესებულების მიერ დამტკიცებულ კურიკულუმისა და „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“ განსაზღვრულ გეგმა/გეგმების პერიოდულობასა და ხანგრძლივობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(აიპ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება №5, 28.01.2026). წესის თანახმად, გრძელვადიანი გეგმა იქმნება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი და დაწესებულების ხელმძღვანელი. მოკლევადიანი გეგმა კი შედგება თითოეული ჯგუფის იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან, ხოლო პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი.

აღნიშნული წესი ადასტურებს, რომ დაწესებულებაში გეგმების შემუშავება თანამონაწილეობით პროცესს წარმოადგენს და განხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

თანამონაწილეობითი დაგეგმვის ეფექტიანად წარმართვისთვის სასურველია აღმზრდელების თანამდებობრივ ფუნქცია-მოვალეობებსა და შინაგანაწესში განისაზღვროს არასაკონტაქტო დრო - კვირაში მინიმუმ 3 საათი, რომელიც გამოიყოფა მოკლევადიანი გეგმების ერთობლივად შედგენისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ წინასწარ განსაზღვროს შეხვედრების კონკრეტული დღეები და დრო, ასევე დაადგინოს, თუ ვინ, რომელი საგანმანათლებლო პერსონალი, ჩაანაცვლებს ჯგუფში აღმზრდელს ჯგუფიდან გამოსვლის პერიოდში. არასაკონტაქტო დრო მონაცვლეობით განაწილდეს ისე, რომ თითოეული ჯგუფის ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალმა - შეძლოს ერთობლივად მუშაობა დოკუმენტაციაზე. სასურველია აღმზრდელები ჩაერთონ თანამონაწილეობით პროცესებში, გაეცნონ ერთმანეთის გეგმებსა და მიზნებს, რათა ბილინგვური მიდგომა კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად თანმიმდევრულად და შეთანხმებულად განხორციელდეს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (მუხლი 10.) აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: ა) ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო; ბ) აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიო; გ) აღმზრდელის პორტფოლიო; დ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო. აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) რეფლექსური ჩანაწერები.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები;

გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები. ამავე წესის მუხლი 3.-ში აღნიშნულია, რომ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წესი მოიცავს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვის პროცედურას წელიწადში ორჯერ, კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს შეფასების შედეგების ინდივიდუალურად გაცნობას მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია უზრუნველყოფს ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების ასახვას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო; აღმზრდელის პორტფოლიო; სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო; გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური განვითარების გეგმები; რეფლექსიური ჩანაწერები; ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.

წესის მე-3 მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებულია ინდივიდუალიზაციის ასპექტი: ინდივიდუალიზაცია ვლინდება მოკლევადიან გეგმებში შესაბამისი ჩანაწერების სახით, ხოლო ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.

საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პერსონალი საჭიროებისამებრ გამოიყენებს სწავლებისა და მხარდაჭერის ინდივიდუალიზებულ მიდგომებს კონკრეტულ ბავშვებთან მიმართებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია, საგანმანათლებლო პერსონალმა გაიაროს სკოლამდელი ინკლუზიური განათლების მიმართულებით სპეციალიზებული ტრენინგი, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების დროულ იდენტიფიცირებას, მშობლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მისაღები ფორმით მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში ბავშვების ადრეული განვითარების პროგრამებში ჩართვასა და სათანადო მომსახურების მიღების უზრუნველყოფას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია თამაში - მათ შორის, აღმზრდელების მიერ დაგეგმილი პროვოკაციები და აქტივობები თამაშის ელემენტებით. ეს ვლინდება დღის განრიგში, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი მასალებით გამდიდრებულ, სივრცეებად ორგანიზებულ გარემოში, აგრეთვე დასტურდება შესაბამის გეგმებსა და აღმზრდელებთან ჩატარებული ინტერვიუებში. საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, განმავითარებელ გარემოში. თამაში ასევე წარმოადგენს როგორც მცირე, ასევე დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითად საშუალებას. აქტივობიდან აქტივობაზე, სივრციდან სივრცეში, გადასვლა - ოთახიდან ეზოში, ოთახიდან დარბაზში - და რუტინებზე გადართვა წარიმართება თამაშით: გამოიყენება სიმღერა, ცეკვა, სიტყვიერი გათამაშება, მოძრაობითი იმიტაცია და ჟესტიკულაცია. რუტინული აქტივობების დროს კი გამოიყენება სახალისო სიმღერები და ხმოვანი შეტყობინებები.

დაწესებულებაში დაბალანსებულია ბავშვის მიერ ინიცირებული თამაშები და აღმზრდელის მიერ დაგეგმილი აქტივობები, რაც დასტურდება ინტერვიუებით და შემდგომ აისახება მოკლევადიან გეგმებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, რაც მოიცავს დრამატულ და წარმოსახვით, შემოქმედებით და კვლევით, სენსორულ, სამაგიდო და წესებიან, მოძრავ, მანიპულაციურ და კონსტრუქციულ და სხვადასხვა ტიპის თამაშებს. ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, რაც დასტურდება აღმზრდელებისა და საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუებით, გარემოს მოწყობით და ვიზუალური განრიგით.

შენობის შიგნით ჯგუფის სიდიდე და ბავშვების რაოდენობა გათვალისწინებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია აქტიური, პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური თამაშები, ასევე წყნარი სივრცე.

ეზო არ არის მოწყობილი კურიკულუმის შესაბამისად, რაც ზღუდავს გარე სივრცეში მრავალფეროვან თამაშებში ჩართულობის საშუალებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გაითვალისწინოს გარე სივრცის კურიკულუმთან შესაბამისი მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვისთვის სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას გარე სივრცეშიც - როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. კერძოდ, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. აგრეთვე გამოიყოს და მოეწყოს დარბაზი.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს გარე სივრცის გამდიდრება კურიკულუმის შესაბამისად:

- საძრომიანო ელემენტები: განთავსდეს გვირაბი, სასრიანო, საქანელები და ბალანსის აღჭურვილობა.
- გამოიყოს და მოეწყოს საქვიში, რომელიც საჭიროებისამებრ გადაიხურება სპეციალური გადასაფარებლით, რათა სუფთად შენარჩუნდეს.
- სენსორული და შემოქმედებითი სივრცეები: შეიქმნას ტალახის სამზარეულო და გარე სახელოსნო, სადაც ბავშვები სენსორულ და შემოქმედებით თამაშებში ჩაერთვებიან.
- წყნარი სივრცეები: გამოიყოს მშვიდი კუთხე ჰამაკებით, ფარდულით და წიგნიერების ზონით, ინდივიდუალური და მშვიდი თამაშებისთვის.

• დარბაზის აღჭურვა: შენობის შიგნით სასურველია სენსო-მოტორული ინვენტარის განთავსება - შვედური კედელი, ბალანსის აღჭურვილობა და მუსიკალური ინსტრუმენტები - რაც ბავშვების ფიზიკური და შემოქმედებითი პოტენციალის სრულ რეალიზებას შეუწყობს ხელს, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ბავშვების მოძრავ თამაშებში ჩართვას უამინდობის შემთხვევაშიც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც მოიცავს 24 თვეზე გაწერილ აქტივობებს ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შეესაბამება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივია დაკმაყოფილებული

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (მუხლი 5.) თანახმად,

1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.
2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;
6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად; (მუხლი 6), თუ როგორ ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება:
მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის შექმნა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით. დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს: ა) მოგროვება, ბ) დონაცია, გ) დამზადება ასევე, წესში გაწერილია საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რესურსების მართვის პროცესის დოკუმენტირების სისტემატიზაცია - მოთხოვნის ფორმებიდან ინვენტარიზაციის შედეგებამდე ერთიანი, თანმიმდევრული ციკლის სახით, რაც გამჭვირვალობასთან ერთად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს საერთო ჯგუფური სივრცე ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა ეზოს ფართის შესაბამისობა ვერ დგინდება, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია ბუნებრივი და მეორადი მასალა, ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა აღმზრდელების მიერ შედგენილი მოთხოვნის ფურცელი ბაღის მენეჯერისადმი. თუმცა, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა არ არის განსაზღვრული ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და არ არის დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. შესაბამისად ვერ დგინდება, რომ არსებული რესურსი პასუხობს თუ არა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წესის შესაბამისად უზრუნველყოს შემდეგი:

• დამტკიცდეს საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა დირექტორის ბრძანებით, სადაც თითოეული რესურსის სახეობა და რაოდენობა განსაზღვრული იქნება ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

- ნუსხა მოიცავდეს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს და ეფუძნებოდა მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს, ბავშვის ჰოლისტური განვითარების სფეროების შესაბამისად
 - გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტები ჯგუფებში განაწილებული რესურსების დასადასტურებლად და პერსონალის ხელმოწერით დასტურდებოდა რესურსის ჩაბარება
 - ინვენტარიზაციის შედეგები გამოყენებულ იქნას შემდეგი შესყიდვის დაგეგმვისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების შეუფერხებელი მიწოდება
 - დაწესებულებამ წარმოადგინოს ეზოს/გარე სივრცის აზომვითი ნახაზი
- რჩევა**
-
-

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ აქტივობებს ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილად შეესაბამება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად, ფიზიკური გარემო უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის განვითარების სტანდარტებს, კურიკულუმის მიზნებსა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, მასალები განთავსებული უნდა იყოს ბავშვის სიმაღლეზე, ხოლო პოტენციური საფრთხეები - მინიმუმამდე დაყვანილი.

სივრცის ორგანიზება: სივრცე იყოფა მკაფიოდ გამოიჯნულ ცენტრებად - სუფთა/ჭუჭყიანი, აქტიური/პასიური - ნეიტრალური ფერის კედლებითა და ხის ფაქტურის ავეჯით

მასალები და აქტივობები: მრავალფეროვანი მასალა უნდა ასტიმულირებდეს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, კვლევით აქტივობას, შემოქმედებითობასა და სოციალიზაციას - როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე.

გარე სივრცე: ეზო უნდა იყოს დაყოფილი სხვადასხვა ფუნქციურ ზონად და, შიდა სივრცის მსგავსად, უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას.

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია კურიკულუმის შესაბამისად - ცენტრებად, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ ჩაერთონ სხვადასხვა სახის თამაშებსა და აქტივობებში, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებში. ოთახებში წარმოდგენილია შემდეგი ცენტრები: დრამატული, სახვითი ხელოვნება, სამაგიდო თამაშები, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, სენსორული, კონსტრუქციული, შეხვედრათა სივრცე, წიგნიერება და განმარტოების სივრცე. რესურსების უმეტესობა ღია და ბუნებრივი ხასიათისაა, ორგანიზებულად განლაგებული კონტეინერებში, კალათებსა და თაროებზე. ქარხნული წარმოების მზა განმავითარებელი სათამაშოები წარმოდგენილია მწირი რაოდენობით. წიგნების ფონდი ასევე არასაკმარისია.

ოთახების კედლები ნეიტრალური ფერისაა, ხოლო ავეჯი - ხის ფაქტურის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ავეჯი არ შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ასაკობრივ ზომებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დანართი 20). კედელზე განთავსებული მასალა ფუნქციურია და ხელს უწყობს წერილობითი სიტყვისადმი ინტერესის განვითარებას; ვიზუალური თვალსაჩინოება განთავსებულია ბავშვის სიმაღლეზე. ამასთანავე, ვიზუალური მანიშნებლები და მიმართულების მიმცემი ნიშნები არ არის წარმოდგენილი დაწესებულების ყველა სივრცეში. გარე სივრცე კი არ არის მოწყობილი კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- განხორციელდეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით (დანართი 20.) გათვალისწინებული ღონისძიებები და არსებული ავეჯი შეიცვალოს სტანდარტის შესაბამისი, ასაკობრივ ზომებზე მორგებული ავეჯით.
- ვიზუალური მანიშნებლები და მიმართულების მიმცემი ნიშნები განთავსდეს დაწესებულების ყველა სივრცეში - მათ შორის დერეფნებში, კიბეზე და გარე ეზოში - ბავშვებისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით.
- კურიკულუმით გათვალისწინებულ სათამაშო ცენტრებს - დრამატულ, კონსტრუქციულ, სენსორულ, წიგნიერების და სხვა - გაუკეთდეს მინიშნებები ორივე, ქართულ და სომხურ, ენებზე.
- გარე სივრცე მოეწყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად: დაიყოს სხვადასხვა ფუნქციურ ზონად და აღიჭურვოს შესაბამისი მასალითა და რესურსებით, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ აქტივობებს ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილად შეესაბამება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღში ჯგუფური ოთახების სივრცე ითვალისწინებს ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის საჭირო პირობებს. ვიზუალური დათვალიერებისა და აღმზრდელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ ბავშვებს აქვთ სხვადასხვა თამაშებსა და აქტივობებში ჩართვის საშუალება, რასაც განმარტობებს ჯგუფური ოთახის ფიზიკური და დროითი გარემოს მოწყობა.

აღნიშნულ დაწესებულებაში შექმნილია განმარტოებისა და სიმშვიდის სივრცე, რომელიც ფარდით არის გამოყოფილი და სადაც მოთავსებულია ბალიშები; ასევე – წიგნიერების ცენტრი, სადაც წიგნები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

თავისუფალი თამაშებისა და აქტივობებში მონაწილეობისთვის ბავშვებს ხელმისაწვდომი აქვთ დრამატული, კონსტრუქციული, სენსორული და სამყაროს აღმოჩენის ცენტრები, სადაც შესაძლებელია როგორც მოძრავ, ასევე შემოქმედებით და კვლევით პროცესებში ჩართვა. პასიური აქტივობებისთვის კი გათვალისწინებულია სამაგიდო თამაშებისა და წიგნიერების ცენტრები, რომლებიც ბავშვს ფოკუსირებული, მშვიდი საქმიანობის შესაძლებლობას აძლევს.

აღსანიშნავია, რომ ოთახის სივრცე ითვალისწინებს როგორც მცირე, ისე დიდი ჯგუფური აქტივობების საჭიროებებს. ოთახის შუა, თავისუფალი ნაწილი გამოიყენება დიდი ჯგუფური და მოძრავი თამაშებისთვის, ხოლო ცენტრები - მცირე ჯგუფებისა და ინდივიდუალური საქმიანობისთვის. ამგვარი მოწყობა უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს არჩევანისა და ინიციატივის გამოხატვის შესაძლებლობა - სასურველ სივრცეში, სასურველი ტიპის თამაშებში ჩართვის.

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად, რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა. დრამატული, სენსორული და მეცნიერების ცენტრები ბავშვებს საშუალებას აძლევს, ჩაერთონ როგორც მოძრავ, ასევე შემოქმედებით პროცესებში. რესურსების უმეტესობა ღია და ბუნებრივია, ორგანიზებულად განლაგებული კონტეინერებში, კალათებსა და თაროებზე. ქარხნული წარმოების მზა განმავითარებელი სათამაშოები წარმოდგენილია მწირი რაოდენობით. დრამატული თამაშების სივრცე სხვადასხვა როლური თამაშისთვის საჭირო მასალით სრულად არის აღჭურვილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახების სივრცე ითვალისწინებს ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის საჭირო პირობებს. ვიზუალური დათვალიერებისა და აღმზრდელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ ბავშვებს აქვთ სხვადასხვა თამაშებსა და აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა, რასაც განაპირობებს ჯგუფური ოთახის ფიზიკური და დროითი გარემოს მოწყობა.

თამაშებსა და აქტივობებში ჩართვისთვის ბავშვებს ხელმისაწვდომი აქვთ დრამატული, კონსტრუქციული, სენსორული და სამყაროს აღმოჩენის ცენტრები, სადაც შესაძლებელია როგორც მოძრავ, ასევე შემოქმედებით და კვლევით პროცესებში ჩართვა. პასიური აქტივობებისთვის გათვალისწინებულია სამაგიდო თამაშებისა და წიგნიერების ცენტრები, რომლებიც ბავშვს ფოკუსირებული და მშვიდი საქმიანობის შესაძლებლობას აძლევს.

ოთახის სივრცე ითვალისწინებს როგორც მცირე, ისე დიდი ჯგუფური აქტივობების საჭიროებებს. ოთახის შუა, თავისუფალი ნაწილი გამოიყენება დიდი ჯგუფური და მოძრავი თამაშებისთვის, ხოლო ცენტრები - მცირე ჯგუფებისა და ინდივიდუალური საქმიანობისთვის.

დასვენებისა და განმარტოებისთვის შექმნილია წყნარი სივრცე, რომელიც ფარდით არის გამოყოფილი და სადაც ბავშვს შეუძლია განმარტოება - იქვე მოთავსებულია ბალიშები. ამავე სივრცესთან განთავსებულია წიგნიერების ცენტრიც.

ამგვარი მოწყობა უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს არჩევანისა და ინიციატივის გამოხატვის შესაძლებლობა - სასურველ სივრცეში, სასურველი ტიპის თამაშებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის (ბრძანება N3-ბ 23.01.2026) მიერ დამტკიცებული შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს. ასევე, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძანება N5, 28.01.2026) გაწერილია (მუხლი 8.) ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.

2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე ვითხვარები;

გ) ჩექლისტები;

დ) სკალები;

ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

4. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-5 პუნქტებით დადგენილი სისტემით.

5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

6. ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;

7. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.

8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;

9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

წესის შესაბამისად, შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, რომელიც დანართის სახით ახლავს დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესს“ (ბრძანება N5, 28.01.2026)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძანება N5, 28.01.2026) გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები: მე-8 მუხლის მე-5, მე-7, მე-9 პუნქტების თანახმად შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
- გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.

ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.



2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძანება N5, 28.01.2026) მე-8 მუხლის 10 პუნქტის თანახმად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, აღმზრდელები ითვალისწინებენ თითოეული ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც აისახება საგანმანათლებლო გეგმებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძანება N5, 28.01.2026) გაწერილია, რომ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა მიზანმიმართულად ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში. შეფასება ხორციელდება კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად, წელიწადში ორჯერ და შედეგების განხილვა მშობლებთან ერთად. (მუხლი 9.) ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება: ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: N3-ბ 23.01.2026
2. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა დარესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ბრძანება N 5. 26/01/2026

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წესში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და რესურსებით უწყვეტად უზრუნველყოფის წესში“ გაწერილია (მუხლი 11.) საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება

1. დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემატური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

- ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს;
- ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას;
- გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

2. დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს:

- ა) პროცესის დაგეგმვა;
- ბ) განხორციელებული აქტივობები;
- გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა;

- დ) ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება;
- ე) ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი;
- ვ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება);
- ზ) აღმზრდელის სტრატეგიები.

3. პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

4. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ.

5. შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

6. ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი.

7. ანგარიში მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სიტუაციის აღწერას, გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და რეკომენდაციებს.

8. ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური (გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან), ისე შინაარსობრივი (აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.) ცვლილება.

ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს და აცნობიერებს წესში გაწერილ კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მნიშვნელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება მარეგულირებელ წესს და მოიცავს ოთხ ძირითად ასპექტს: საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას, ფიზიკური გარემოს შეფასებას, მშობლების უკუკავშირს და პერსონალის თვითრეფლექსიას. აღნიშნული ასპექტები ცნობილია საგანმანათლებლო პერსონალისთვის და დაწესებულება გეგმავს მათ ფუნქციურ გამოყენებას.

თუმცა, ვინაიდან დაწესებულება ამჟამად ახალი კურიკულუმის დანერგვის პროცესშია, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით კურიკულუმში ცვლილებების განხორციელება ამ ეტაპზე ჯერ არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტი, თუმცა იგი ჯერ არ არის ბრძანებით დამტკიცებული.

არსებობს შეფასების მარეგულირებელი წესი და მზადყოფნა, შეფასების შედეგების ანალიზზე დაფუძნებული კურიკულუმის შემდგომი განავითარებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება: ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: N3-ბ 23.01.2026
2. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა დარესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ბრძანება N 5. 26/01/202
3. „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“ - ბრძანება N6 30/01/2026
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში - „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანებით N6. დოკუმენტი მოიცავს შიდა და გარე აუდიტორიებთან კომუნიკაციის, საკომუნიკაციო არხების, აქტივობების დროში განაწილების, პასუხისმგებელი პირების, უკუკავშირისა და კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის საკითხებს. ამასთანავე, სავალდებულო დოკუმენტებში წარმოდგენილია ქალაქ ნინოწმინდის N 2 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება №6/1 30/01/2026), სადაც წინასწარ, დროში გაწერილია ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის მიზნები და აქტივობები კურიკულუმისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. გეგმა მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს: მშობელთა ჩართულობის გაზრდასა და ნდობის გაძლიერებას, ღია კარის დღის დაგეგმვა (შიდა და გარე სივრცეების მშობელი გაცნობა, ვიზიტი, კურიკულუმის შინაარსი და მიზნების გაზიარება ცნობიერების ამაღლება თემაზე - ბავშვთა უფლებები /რეფერირება. შეხვედრა მშობლებთან (ჩართულობის დასაშვები ფორმების გაცნობა/რესურსით მომარაგება/ სამომავლო გეგმების გაცნობა). ინდივიდუალური შეფასების გაზიარება მშობლებთან წელიწადში ორჯერ. ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გეგმის შემუშავება. ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის ვიზიტების განხორციელება. კურიკულუმის მიზნების გაცნობას, ბავშვის შეფასების შედეგების მშობლებთან გაზიარებას, თემის რესურსის მოძიებასა და გასვლით აქტივობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ოჯახთან და თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესში და ქალაქ ნინოწმინდის №2 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში (ბრძანება №6/1, 30.01.2026) მკაფიოდ არის განსაზღვრული მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართვა დაწესებულების საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობა - როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

საკომუნიკაციო გეგმაში დროში გაწერილია შემდეგი აქტივობები: ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული შეხვედრები; სხვადასხვა პროფესიის მოწვეულ სპეციალისტებთან დაგეგმილი შეხვედრები; მშობელთა ინიციატივების განხილვა და წახალისება. გარდა ამისა, გეგმაში გათვალისწინებულია ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან, რაც გარე სივრცეში თანამშრომლობის სისტემურ ხასიათს ადასტურებს.

შიდა აქტივობების პრაქტიკულ განხორციელებას ადასტურებს მშობელთა შეხვედრების ჩანაწერები. ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი კარგად იცნობს შესაბამის წესებსა და პროცედურებს და გამოხატავს მზაობას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

ინტერვიუს საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულების თანამშრომლები და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი სრულად აცნობიერებენ თემის ჩართულობისა და წახალისების მნიშვნელობას. დაწესებულება გეგმავს თემის ჩართულობის წახალისების დამატებითი მექანიზმების დანერგვას, კერძოდ: მადლობის სიგელების გადაცემას აქტიური მონაწილეობისთვის და ბებია-ბაბუების მოწვევას სხვადასხვა აქტივობებში - თაობათაშორისი კომუნიკაციის განვითარებისა და ბავშვების ემოციური კეთილდღეობის გაძლიერების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (ბრძანება N6, 30/01/2026) გაწერილია მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები. რომელთაც იყენებს დაწესებულება ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის.

წესის შესაბამისად საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. საადმინისტრაციო დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: პირისპირ შეხვედრები, საინფორმაციო დაფები; მოკლე ტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი; სოციალური მედიის პლატფორმები და დახურული ჯგუფები;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება: ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: N3-ბ 23.01.2026
2. "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა დარესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ბრძანება N 5. 26/01/202
3. „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“ - ბრძანება N6 30/01/2026

4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერ

დაწესებულებაში შემუშავებულია საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც ეფუძნება „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესს“. გეგმა მოიცავს შიდა და გარე აუდიტორიებთან კომუნიკაციის მიმართულებებს, საკომუნიკაციო არხებს, აქტივობების დროში განაწილებას, პასუხისმგებელ პირებს, უკუკავშირის მექანიზმებსა და კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის წესსა და პროცედურებს.

გეგმის მე-5 მუხლის შესაბამისად, საკომუნიკაციო აქტივობები წინასწარ არის დაგეგმილი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: მშობელთა ჩართულობის გაზრდა და ბალისადმი ნდობის გაძლიერება; მშობელთა ჩართვა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში; კურიკულუმის მიზნების გაცნობა; ბავშვის შეფასების შედეგების მშობლებთან გაზიარება; ბავშვთა უფლებების კონვენციის გაცნობა; თემის რესურსების მოძიება და გასვლითი აქტივობების დაგეგმვა; საგანმანათლებლო რესურსების შევსება სხვადასხვა მასალით.

აღნიშნული მიმართულებები უკავშირდება მშობელთა ცნობიერების ამაღლებას - მათ შორის ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ „თამაში“ კურიკულუმის პრინციპებთან თანხვედრაში გამოყოს და მოაწიოს მშობელთა კუთხე - სივრცე, სადაც მშობლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია პოზიტიურ მშობლობაზე, ბავშვთა უფლებებზე, ბავშვის განვითარების თავისებურებებზე და ა.შ. კუთხეში შეიძლება განთავსდეს ბავშვების ნამუშევრები, ფოტომასალა და მოკლე აღწერილობები იმ თამაშებისა და აქტივობების შესახებ, რომლებშიც ბავშვები კვირის განმავლობაში იყვნენ ჩართულნი. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს მშობლების ინფორმირებულობას და მათ აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, რაც სრულ თანხვედრაშია „თამაში“ კურიკულუმის ოჯახის ჩართულობასთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებულობას ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ. დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ (ბრძანება №6, 01.2026) შესაბამისად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ შედეგები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ინდივიდუალურად გაუზიარებს წელიწადში ორჯერ.

აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმაშიც, სადაც წინასწარ გაწერილია მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები და ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობის აქტივობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია მშობელთა კუთხე ასევე გამოყენებულ იქნეს ბავშვის პროგრესის გაზიარების ინსტრუმენტად - „თამაში“ კურიკულუმით გათვალისწინებული დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკის შესაბამისად, კუთხეში შეიძლება პერიოდულად განთავსდეს ინფორმაცია ბავშვის



განვითარების სფეროების შესახებ გასაგები და მშობლისთვის მოსახერხებელი ფორმით. ეს მიდგომა გააძლიერებს ბაღსა და ოჯახს შორის უწყვეტ კომუნიკაციას და ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებაზე შეთანხმებულ და თანმიმდევრულ ზრუნვას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აქტიურად იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის წესის“ (ბრძანება №6, 30.01.2026) და ნინოწმინდის N2 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმის (ბრძანება №6/1, 30.01.2026) შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- თემში არსებული რესურსების მოძიება და გასვლითი აქტივობების დაგეგმვა
- საგანმანათლებლო რესურსის შევსება სხვადასხვა ბუნებრივი მასალით
- ექსკურსიების და შეხვედრების დაგეგმვა თემის დაწესებულებებში - სკოლა, მუზეუმი და სხვა
- სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების მოწვევა მშობლის საათის ფარგლებში

აღნიშნული პრაქტიკა ასახულია დაწესებულების გრძელვადიან გეგმაშიც, რაც თემის რესურსების სისტემური გამოყენების დასტურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....



4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან და თემთან განხორციელებულ საკომუნიკაციო აქტივობებს და საჭიროებისამებრ ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს. დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მე-6 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტიანი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ ინსტრუმენტებს:

- კითხვარები
- ღია შეხვედრები

დაგეგმილი საკომუნიკაციო აქტივობები წინასწარ გაწერილი და დროში განაწილებულია ბაღის საკომუნიკაციო გეგმის დანართში, რაც უზრუნველყოფს აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების სისტემურ პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება: ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება: N3-ბ 23.01.2026
2. "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა დარესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ბრძანება N 5. 26/01/202
3. „ოჯახთან/თემთან/კომუნიკაციის დაგეგმვის წესი“ - ბრძანება N6 30/01/2026
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქ. ნინოწმინდის №2 საბავშვო ბაღის ორგანიზაციული სტრუქტურით განსაზღვრულია როგორც ადმინისტრაციული, ისე საგანმანათლებლო და დამხმარე პერსონალის პოზიციები. სტრუქტურა მოიცავს საბავშვო ბაღის მენეჯერს, მეთოდისტს, საგანმანათლებლო პერსონალს (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, ინგლისურის მასწავლებელი), სამეურნეო დარგის სპეციალისტს (დამხმარე მუშისა და დარაჯის დაქვემდებარებით), ასევე ექთანს, მზარეულს, მზარეულის დამხმარს, დამლაგებელს. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ორგანოგრაფია არ არის დამტკიცებული. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი. შინაგანაწესში თითოეული პოზიციისთვის გაწერილია უფლება-მოვალეობები. თუმცა აღნიშნული დოკუმენტში არ არის გაწერილი ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი პირისა და ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები. დაწესებულებას არ ყავს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა) იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 მარტის ბრძანება N 18 რითიც განსაზღვრულია ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. (იხ. ინდიკატორი 4.6.2.3 აღწერა).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს აღმზრდელ პედაგოგთან და აღმზრდელ პედაგოგის თანაშემწესთან. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა (ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე) და აღმზრდელის ნაცვლად ეწერა აღმზრდელ-პედაგოგის თანაშემწე. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ჯამში დაწესებულებაში დასაქმებულია

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

აღმზრდელ პედაგოგი (10), აღმზრდელი (6) მზარეული (1), მზარეულის თანაშემწე (2), ექთანი (1), დამლაგებელი (2). დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 90 -ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ განსაზღვროს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი პირი

დაწესებულებამ დაამტკიცოს ორგანოგრამა

დაწესებულებამ განაახლოს შრომითი ხელშეკრულებები იმგვარად, რომ თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პოზიცია სრულ შესაბამისობაში იყოს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაო ფუნქციებთან

რჩევა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ორგანოგრამაში მითითებულია ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საბავშვო ბაღის მენეჯერი განსაზღვრულია რეფერირების პროცესზე პასუხისმგებელ პირად. აღსანიშნავია, რომ ორგანოგრამა უნდა ასახავდეს მხოლოდ დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებსა და პოზიციებს, ხოლო ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რჩევა შეიტანოს ცვლილება ორგანოგრამაში და ამოიღოს მსგავსი შინაარსის ჩანაწერი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. (იხ. წერილი N 1 13.05.2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებამ განსაზღვრა პერიოდი მათი 2026 წელი- თებერვალი 2027 და დაგეგმა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- დაწესებულება განსაზღვრავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი პირს;
- დაწესებულება განაახლებს შრომითი ხელშეკრულებები იმგვარად, რომ თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული პოზიცია, სამუშაო ადგილის მისამართი და ისინი სრულ შესაბამისობაში იყოს თანამშრომლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაო ფუნქციებსა და სამუშაო ადგილთან;

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისად შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი. შინაგანაწესში თითოეული პოზიციისთვის გაწერილია უფლება-მოვალეობები. თუმცა აღნიშნული დოკუმენტში არ არის გაწერილი ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი პირისა და ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში პერსონალის მართვის წესის შესაბამისად თითოეული პოზიციის ფუნქცია- მოვალეობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის თებერვალი – 2026 წლის ივნისი), შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაწესებულების ორგანოვრამით გათვალისწინებული თითოეული პოზიციისთვის შესაბამისი ფუნქციები და მოვალეობები. ამასთანავე, აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრული უნდა იყოს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი პირისა და ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის უფლებები და მოვალეობები. დოკუმენტების შემუშავების პროცესში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა დაწესებულებაში მოქმედ „პროცესების აღმწერ და ხარისხის უზრუნველყოფის წესთან“.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის დოკუმენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში პერსონალის მართვის წესის შესაბამისად თითოეული პოზიციის ფუნქცია მოვალეობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერას. პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაიწერება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის თებერვალი – 2026 წლის ივნისი), შეიმუშაოს და დაამტკიცოს თითოეული პოზიციისთვის შესაბამისი ფუნქციები მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას გაითვალისწინოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 დადგენილება, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ მინიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 29 25.12.2017 , ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 31 03.01.2018

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებულ საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში იგეგმება დაწესებულებაში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგების ჩატარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს საგანმანათლებლო პერსონალისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგების ჩატარება. საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ტრენინგის გავლა უნდა

იყოს დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით (სერტიფიკატი, დასწრების ფურცლები ან სხვა მტკიცებულებები) და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი სათანადო დოკუმენტირება პერსონალის პირად საქმეში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დროს (იხ წერილი N 1 13.05.2026) წარმოადგინა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებები, კერძოდ გაფორმებული ხელშეკრულება სატრენინგო მომსახურების შესახებ (18.02.2026) და დაწესებულების პერსონალის მიერ “პირველადი და გადაუდებელი დახმარება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალისათვის” ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დროს გამოგზავნილი მტკიცებულებები და შესაბამისად შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული შეიქცალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.1.2 დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შინაგანაწესი. შინაგანაწესი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, პერსონალის მოტივაციისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, ხოლო მისი ნორმები შესაბამისობაშია მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები, შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურები, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის მექანიზმები, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, ასევე პერსონალის წახალისებისა და პროფესიული განვითარების საკითხები. პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული პროცესები იმართება აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აღმზრდელ პედაგოგებთან/აღმზრდელებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ დაწესებულების შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღმზრდელ პედაგოგებთან/აღმზრდელებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობა, თუმცა არც შინაგანაწესში და არც შრომით ხელშეკრულებებში არის გამიჯნული, რა საქმიანობას უნდა ასრულებდეს აღმზრდელ პედაგოგი/აღმზრდელი საკონტაქტო და არა საკონტაქტო საათებში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს დაამტკიცოს თითოეული პოზიციისთვის შესაბამისი ფუნქციები მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის თებერვალი – 2026 წლის ივნისი) შეიმუშაოს და დაამტკიცოს თითოეული პოზიციისთვის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღმზრდელ პედაგოგის/აღმზრდელზე ფუნქციებისა და მოვალეობების განსაზღვრისას აუცილებელია განსაზღვრულ იქნას როგორც საკონტაქტო, ისე არასაკონტაქტო საათებში შესრულებადი ფუნქცია- მოვალეობები, რაც ან უნდა ასახოს შრომით ხელშეკრულებაში, ან დოკუმენტი რითიც დარეგულირებული იქნება აღნიშნული საკითხი გახდეს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილი კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები, რომელიც სრულად ეფუძნება ობიექტურობის და გამჭვირვალეობის პრინციპებს. დაწესებულებაში არსებული ვაკანტური პოზიციისთვის განაცხადი შემუშავდება სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პერსონალის დანიშვნა განხორციელდება როგორც პირდაპირი დანიშვნის გზით, ისე კონკურსის საფუძველზე (ღია/დახურული). აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს:

- ღია კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც მოიცავს კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შექმნის პრინციპებს;
- დახურული კონკურსის ჩატარების წესი;
- პირდაპირი დანიშვნის შემთხვევაში მოქმედების პროცედურები;

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს დაწესებულებაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს მათი ადაპტაციის სისტემურ და ორგანიზებულ პროცესს. დოკუმენტის მიხედვით ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

- ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
- საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
- ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
- მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;
- უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ ახალი თანამშრომლები ეფექტიანად ინტეგრირდნენ სამუშაო გარემოში. სწრაფად შეეჩვიონ ორგანიზაციულ კულტურას და სრულფასოვნად ჩაერთონ სამუშაო პროცესებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ვლინდება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების გუნდურ ორგანიზებასა და სამუშაო ჯგუფების ეფექტურ გამოყენებაში. თანამშრომლობითი და გუნდურად მუშაობის პრინციპები დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუებითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3 დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროების კვლევის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს მრავალმხრივი ასპექტების შეფასებას, მათ შორის:

- ა) უნარები;
- ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;



- გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
- დ) სამუშაო გარემო ;
- ე) კარიერული განვითარება ;
 - ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
 - ზ) აღიარება და მოტივაცია;
- თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
 - ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

პერსონალის საჭიროების მოკვლევისთვის დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ მეთოდებს:

- ა) წყვილების შედარების მეთოდი;
- ბ) კითხვარი;
- გ) მართვა მიზნების მიხედვით;
- დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
- ე) თვითშეფასება;
- ვ) გასაუბრება;
- ზ) სხვა.

აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებს ასევე გაწერილია აქვს პერსონალის შეფასების/საჭიროებების მოკვლევის ეტაპები, ესენია:

- ა) დაგეგმვა;
- ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;
- გ) შედეგების ანალიზი.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საჭიროების კვლევის ჩატარებას და პერსონალის საქმიანობის შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, პერსონალის საჭიროების კვლევის განხორციელების შემდეგ, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დაწესებულებაში შემუშავდება პერსონალის განვითარების გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ: ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულება ხელს შეუწყობს პერსონალის მხრიდან ინიციატივების დაფიქსირებას, რისთვისაც გამოიყენებს წახალისების ისეთ მექანიზმს როგორცაა მადლობის გამოცხადება და ჯილდოს გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
2. დაწესებულების ორგანოგრამა
3. ა(აიპ) ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება N 18/1 დამტკიცებული ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების შინაგანაწესი
4. პერსონალის პირადი საქმე
5. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.2 პროცესების მართვა

4.2.1 დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის ბრძანება N 13 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი. დოკუმენტში გაწერილია დაწესებულებაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები.

მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითად პროცესებს მიეკუთვნება: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება და ოჯახთან და თემთან ურთიერთობა. ხოლო დამხმარე პროცესებს გაეკუთვნება ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა, ფინანსური რესურსების მართვა, სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა, ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა, სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს აღწერილი აქვს თითოეული პროცესი, პროცესის მფლობელი, პროცესის შემადგენელი ეტაპები, პროცესის მარეგულირებელი წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის ბრძანება N 13 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებაში შენარჩუნდეს მიღწევები და ამავედროულად განისაზღვროს გეგმა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. დაწესებულება ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე მოახდენს რისკების იდენტიფიცირებას. გამოვლენილი რისკ ფაქტორების გათვალისწინებით კი შეადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას. დაწესებულებაში განხორციელდება თითოეული პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ყავს აყვანილი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია რომ 2026 წლის თებერვალი 2027 წლის თებერვალი დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის აყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი ვადები დაცვით (2026 წლის თებერვალი-2027 წლის თებერვალი) უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის აყვანა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 2 იანვრის ბრძანება N 9 დამტკიცებულია საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესში გაწერილია საბავშვო ბაღში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მექანიზმი, პერიოდულობა და ვადები, ჩარიცხვის ეტაპები, ბავშვის გადაყვანის, სარეზერვო სიების შემუშავების წესი, ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. გაერთიანება ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესს ახორციელებს მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი ფორმების/განცხადებების გამოყენების გზით. შევსებული განაცხადების მიღება მოხდება ადგილზე დაწესებულებაში ფიზიკურად მისვლით, ხოლო ჩარიცხვა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჭირო დოკუმენტების დაწესებულებაში მატერიალური ფორმით წარმოდგენით. აღნიშნული დოკუმენტის და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვას დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 2 იანვრის ბრძანება N 9 დამტკიცებულია საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი რასაც უნდა მოიცავდეს ბავშვის პირადი საქმე. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 დამტკიცებულია ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია იმ საბუთების ჩამონათვალი რასაც უნდა მოიცავდეს პერსონალის პირადი საქმე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი რომ ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ ასევე არ იყო წარმოდგენილი რეზიუმეები, რიგ შემთხვევაში არ იყო წარმოდგენილი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები და ცნობები სამუშაო გამოცდილების შესახებ. შესაბამისად დადგინდა, რომ დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეების წარმოება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ პირად საქმეში განათავსოს პერსონალის რეზიუმე, რიგ შემთხვევებში განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ცნობები სამუშაო გამოცდილების შესახებ, ასევე ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. (იხ. წერილი N 1 13.05.2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებამ განსაზღვრა პერიოდი მაისი 2026 წელი თებერვალი 2027 წელი და დაგეგმა შემდეგი აქტივობების განხორციელება: დაწესებულება უზრუნველყოფს, პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ პირად საქმეში განათავსებს პერსონალის რეზიუმე, რიგ შემთხვევებში განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებს, ცნობებს სამუშაო გამოცდილების შესახებ, ასევე ცნობებს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისად შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა) იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის ბრძანება N 13 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი.
2. ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 2 იანვრის ბრძანება N 9 დამტკიცებულია საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი.
- 3ა(ა) იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N 7 ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი
4. პერსონალის პირადი საქმე
5. .ა(აიპ) ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
6. ინტერვიუ

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც შემუშავებული უნდა ქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების წესი და განსაზღვრული ჰყავდეს პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული აღნიშნული წესი, მაგრამ ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია საბავშვო ბაღში დასაქმებული ექთანი. საბავშვო ბაღში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც მოწყობილია კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. დაწესებულების პერსონალს არ აქვს გავლილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგები.იხ. ინდიკატორი 4.1.1.4 აღწერა. დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულებამ წარმოდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის თებერვალი -2027 წლის თებერვალი დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების (2026 წლის თებერვალი-2027 წლის თებერვალი) დაცვით უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. დაწესებულებამ შეიმუშაოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. (იხ. წერილი N 3 13.05.2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებამ განსაზღვრა პერიოდი მაისი 2026 წელი თებერვალი 2027. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესის შემუშავებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისად შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს აღწერილი დაწესებულების ეზოში არსებული მცენარეების სახეობები და არ აქვს დადგენილი მათი მახასიათებლები. დაწესებულებამ წარმოდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალსტების მოძიებას, მცენარეების აღწერას და საჭიროების შემთხვევაში საფრთხის შემცველი მცენარეების ამოძირკვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2027 წლის თებერვალი) უზრუნველყოს დაწესებულების შიდა პერიმეტრზე არსებული მცენარეების აღწერა და მათი მახასიათებლების დადგენა.



რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში, დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას სრულად დაცული იქნება მათი უსაფრთხოება. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული პროცესი განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით, რაც მოიცავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობით ნებართვის მიღებას, ბავშვის უსაფრთხო ტრანსპორტირების ორგანიზებას და პერსონალის ზედამხედველობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ბავშვების დაცვას საგანმანათლებლო აქტივობების დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს დღის განრიგის წინასწარ შემუშავებას. აღნიშნული განრიგები არის დასურათებული რათა ბავშვისთვის იყოს მარტივად აღსაქმელი. ბავშვებს ეძლევათ საშუალება თვალი ადევნონ დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს და საქმიანობებს. დაწესებულებაში მოქმედებს აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის პროცედურები, ასევე რუტინული აქტივობების პროცედურები რომელიც ხელს უწყობს აღსაზრდელთა მხრიდან სწორი მოლოდინების შექმნას და ამცირებს ქცევით და ემოციურ სირთულეებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი ფლობს ბავშვის უფლებების შესახებ საჭირო ცოდნას და სისტემატურად იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში. თითოეული თანამშრომელი მოქმედებს ისე, რომ პატივს სცემს ბავშვის უსაფრთხოებას, ღირსებას, პირად სივრცესა და უფლებას გამოხატვის თავისუფლებისთვის. პერსონალი ასევე უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპს, არ ახდენს დისკრიმინაციას და ხელს უწყობს ბავშვის უფლებების ინტეგრირებას ყოველდღიურ საგანმანათლებლო აქტივობებში.

დაწესებულების პერსონალის მიერ ბავშვთა უფლებების ცოდნა და დაცვა დასტურდება პერსონალთან ინტერვიუებით. ბავშვთა უფლებების დაცვა ვლინდება ასევე კურიკულუმის განხორციელების მიმართულებით. კერძოდ, განვითარებაზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული , ინკლუზიური მიდგომით. ყველა ბავშვს აქვს თანაბარი წვდომა განათლებასა და რესურსებზე , აქვთ თვითგამოხატვისა და თავისუფალი თამაშის

უფლება. დაცული და გამოკვეთილია ბავშვის ინდივიდუალურობა და საჭიროებები. ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტობის შესაძლებლობა. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება ბავშვთა უფლებების მიმართულებით, მათ შორის, რეგულარული ტრენინგებისა და გადამზადების გზით. ტრენინგები უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლებების დაცვის პრაქტიკულ ასპექტებს, არადისკრიმინაციულ და ინკლუზიურ მიდგომებს, ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას ყოველდღიურ საგანმანათლებლო პროცესში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის ბრძანება N 12-ით დამტკიცებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების წესი. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მიმართოს რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ასევე დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 20 მარტის ბრძანება N 18 არის განსაზღვრული. აღსანიშნავია რომ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს არ აქვს გავლილი შესაბამისი გადამზადება. პასუხისმგებელი პირი აანალიზებს ადგილზე ამოწმებს/აანალიზებს შემთხვევას და ადგენს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ახდენს შემთხვევის რეფერირებას (გადამისამართება) პასუხისმგებელ უწყებასთან/უწყებებთან. გადაუდებელი შემთხვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირებას ახორციელებს შემდეგი ეტაპების დაცვით:

- ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ხდება პოლიციის ინფორმირება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება;
- ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ხდება ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით;

• ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება დაწესებულების დირექტორს .საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, როდესაც შემთხვევა არ არის გადაუდებელი, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ავსებს „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს“, აწერს ხელს და აგზავნის სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში. აღნიშნული დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმები. პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალი იცნობს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების პროცედურებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი გადამზადოს საქართველოს მთავრობი 2016 წლის 12 სექტემბრის N 437 დადგენილების შესაბამისად

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დროს (იხ წერილი N 1 15.05.2026) წარმოადგინა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებები, კერძოდ გაფორმებული ხელშეკრულება სატრენინგო მომსახურების შესახებ (18.02.2026) და დაწესებულების პერსონალის მიერ „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მეთოდოლოგია/რეფერირება“ ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დროს გამოგზავნილი მტკიცებულებები და შესაბამისად შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციის, რისთვისაც იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- საორიენტაციო შეხვედრები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან;
- მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობით მხარდამჭერი გარემოს შექმნა;



დაწესებულებას აქვს როგორც დიდი ასევე მცირე ტრანზიციების განხორციელების პრაქტიკა. თითოეულ ჯგუფში დაწესებულებამ შესაძლოა გამოიყენოს სხვადასხვა ტრანზიციის ფორმები, მაგ: მუსიკა, ტაშის დაკვრა და ა.შ. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ ყავს განსაზღვრული პერსონალურ მინაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. ბავშვებთან მიმართებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მშობლებისგან ინფორმირებული თანხმობის ფორმები, რაც უზრუნველყოფს ფოტოგადაღებაზე, ექსკურსიებსა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის ნებართვის მიღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. (იხ. წერილი N 1 13.05.2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებამ განსაზღვრა პერიოდი მაისი 2026 წელი თებერვალი 2027 და დაგეგმა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- დაწესებულება განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს;
- დაწესებულება შეიმუშავებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს;

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დროს გამოგზავნილი მტკიცებულებები და შესაბამისად შეფასება ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
2. ფოტოგადაღების, ექსკურსიების და აქტივობის ნებართვის ფორმები
3. მშობელთან/ბავშვის კანონიერ წარმოდგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
4. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 20 მარტის ბრძანება N 18 ქ. ნინოწმინდის N 2 საბავშვო ბაღში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
5. ინტერვიუ

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ბიუჯეტი განსაზღვრულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის მიხედვითაც 2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისის პერიოდში შეიმუშავებს შესაბამისობის გეგმას. დაწესებულების პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება დაწესებულების ფინანსური რესურსები, რათა გეგმით განსაზღვრული აქტივობები იყოს რეალისტური და შესრულებადი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის თებერვალი-2026 წლის ივნისი) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის შედგენისას გათვალისწინებული იქნება დაწესებულების ფინანსური რესურსი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება N 24/1 01.12.2025 აღნიშნული დოკუმენტით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ინვენტარიზაციით დგინდება, რომ დაწესებულება ფლობს ისეთ რესურსებს, როგორცაა: წიგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სათამაშოები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ბიუჯეტს შეიმუშავენს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წლიური ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსური რესურსის თანახმად. დაწესებულება წლის დასაწყისში ადგენს მიმდინარე წლის წლიურ ხარჯთაღრიცხვას რომელიც მტკიცდება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ. დაწესებულების დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ყოველი კვარტლის ბოლოს დაწესებულება ამზადებს და მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს ანგარიშს შესაბამის პერიოდში გახარჯული ფინანსური რესურსების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
2. მიღება ჩაბარების აქტი 20.01.2026
3. 2026 წლის ხარჯთაღრიცხვა 01.01.2026
4. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ნინოწმინდის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის დადგენილება N 20



5. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის ბრძანება N 24/1 ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება	
ვიზიტის დღის წესრიგი	
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
5	ფოტო მასალა
6	
7	

თარიღი 20/05/2026

ხელმოწერილი

სახელი გვარი

ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ხარისხის ექსპერტი

ნანა ხითარიშვილი

ნ. ხითარიშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

კურიკულუმის ექსპერტი:

კვების დარგში ექსპერტი:

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

თამარ შკუბულიანი

თამარ ნაროუმვილი

კახაბერ ბერიძე

თ. შკუბულიანი

თ. ნაროუმვილი

კ. ბერიძე

4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

სადარბო სახელწოდება: აკაია) ნინოწმინდის სახელმწიფო ხაზების გაერთიანება
ბროტკამ(ტეს)ის გამოარჩევლების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, კ. ნინოწმინდის N 2 სახელმწიფო ხაზი

პროექტ(მ)ის გამოარჩევლების დეტალური მასშტაბი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ნინოწმინდა, ერეკლეს ქუჩა N3 (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დამსოფილები/ქუჩა და N)
ვიზიტის თარიღი: 19.03.2026-20.03.2026

კრიტერიუმ 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოყენება დაწესებულების მიხედვით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამისად არსებულ დანარჩენ ნაგებობა რაოდენობის

Table with 5 columns: N, ინდიკატორი, შეესაბამება, შეტყობილად შეესაბამება, წაწილობრივ შეესაბამება, არ შეესაბამება. Includes criteria 1, 2, and 3 regarding infrastructure and equipment.

შესაბამისობის კითხვარი

Table with 7 columns: N, შეფასების ინდიკატორი, შეესაბამება, შეტყობილად შეესაბამება, წაწილობრივ შეესაბამება, არ შეესაბამება, ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა, რეკომენდაცია, რჩევა, არაღმარებული პოზიციის გარეგანი

Table with 7 columns: N, შეფასების ინდიკატორი, შეესაბამება, შეტყობილად შეესაბამება, წაწილობრივ შეესაბამება, არ შეესაბამება, ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა, რეკომენდაცია, რჩევა, არაღმარებული პოზიციის გარეგანი. Includes detailed criteria 1 and 2 regarding infrastructure and equipment.

